წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — ხუთშაბათი, 5 მაისი 1916 წ. — № 100

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უფრამიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

2 მაისს, დილის 4 საათზე განისვენა მგოსანმა

იროდიონ ევდოშვილმა

რასაც გულისკვნესით აუწყებს ქართველ საზოგადოებას

„საქართველო"-ს რედაქცია

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

თავზარდაცემული მარიამ ივანეს ასული, ვანო, თამარ, ბეტა და თინა ევდოშვილები და ევა ნოდარის ასული ჯანყარაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2 მაისს, გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—საყვარელი მამა და მესამესი—დაუვიწყარი სიძე

იროდიონ ისაკის ძე
ხოსიტაშვილი-ევდოშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სად. 7 ს.

მწუხარებით გულდამწვარი ბაბილინა ისაკის ასული და ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობმეგობართ, რომ 2 მაისს დილის 4 საათზე მიიცვალა მათი უსაყვარლესი პირველისა ძმა, მეორისა ცოლის ძმა

იროდიონ ისაკის ძე
ევდოშვილი-ხოსიტაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

გულმოკლული პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი და მისი მეუღლე ნინო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს, დილის 4 საათზე, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი ძმა მეორისა მაზლი

იროდიონ ისაკის ძე
ხოსიტაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

იროდიონ ისაკის ძე
ხოსიტაშვილი-ევდოშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმა თომა ისაკის ძე, რძალი ოლღა დავითის ასული შვილებითურთ.

---

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

იროდიონ ისაკის ძე
ხოსიტაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის სიდედრი ევა ჯანყარაშვილისა, ცოლის ძმა მიხეილ ივანეს ძე ჯანყარაშვილი ცოლშვილით.

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე, დები: ანნა ნახუცრიშვილისა, მარიამ კანდელაკისა, ნატალია თოთიბაძისა, ანასტასია ექვთიმიშვილისა და რძალი ნინა რომანოზის ასული ბაქრაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 მაისს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პირველთა საყვარელ ძმისა, მეორესი ძვირფას მაზლისა და უკანასკნელთა დაუვიწყარ ბიძისა

ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძისა,

რომელიც გარდაიცვალა 28 აპრილს, ქ. არდაგანში.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზედ. 1—173—1

თბილისის სათავად-აზნაურო

სააღმშემიწო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 4 მაისიდან ბანკში მუშაობა დაიწყება დილის 9 ს-დან და დასრულდება ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე.

მოდური მაღაზია
მ. ზაზარულისა
სასახლის ქუჩაზე
იყიდება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
მხოლოდ ევროპიული
(—83—)

ამ ნომერთან ერთად ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთ ეგზავნებათ კავკასიის

სავაჭრო-სამრეწველო ბანკის

მთავარ სოორგანიზაციო კომიტეტისაგან განცხადება. რომ ბანკის ყველა აქციონერებმა უნდა შემოიტანონ კომიტეტის სახელზედ აღნიშნულ ადგილებში და აღნიშნულ პირებთან მეორე ხვედრი ფული—თითო აქციაზედ 100 მანეთი ამა 10—20 მაისს.

პატივისცემით ბუღალტერი კ. მხეიძე.

ქ. ზაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—24)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
✦პროვიზორის ახვლედიანისა✦

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. პ. მაჭავარიანი
5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

სტუდენტები
ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი
ზ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. 2 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** დოლჟის ტბის მიდამოებში (მიაძიოლის ტბიდან ჩრდილოეთით) საღამოს 8 საათზე მტრის ძლიერმა ჯარმა იერიში მოიტანა რუსების თხრილებზე. გერმანელებმა შესძლეს რუსების წინა თხრილებში შეჭრა, მაგრამ რუსებმა კონტრ-იერიშებით უკუ აგდეს მტერი. მიაძიოლის ტბიდან ჩრდილოეთ მიდამოებში 2 მაისს ღამე გერმანელებმა მკაცრი საარტილერიო ცეცხლი გააჩინეს. რუსების ბრძოლის ხაზზე გერმანელმა ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა. გალიციაში ბრააჟანის გზატკეცილიდან ჩრდილოეთით და ქვემოთა სტრიპის მიდამოებში მტერი შეეცადა ჩვენ თხრილებს მოახლოვებოდა, მაგრამ ცეცხლით მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. დიარბექირის მიმართულებით ოსმალთა შეტევა მოვიგერიეთ. მოსულის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება.

პარიზი, 2 მაისი, საღამოს ოფიციალი. შამპანში დიუმენილ-მეზონდე-შამპანის მიდამოეში, მომხდარ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, ასპარეზის სხვა ადგილებში სუსტი იერიშები დაიწყო. ვერდენის მიდამოებში, მაასის დასავლეთიდან მტერი ესროდა ჩვენი სიმაგრეების პირველ და მეორე ხაზებს... მაასის სიმაღლეებზე, ჩვენმა არტილერიის მოულოდნელმა მოქმედებამ, მიზანს მიაღწია; რუსის მზვერავებმა მტერს თხრილები წაართვეს და რამდენიმე კაცი დაატყვევეს. რუსთა არტილერია მედგრად ესროდა მტრის რაზმებს ესსე-პანის გზაზე, თიოკურის სამხრეთ-დასავლეთით.

ლონდონი, 3 მაისი. ინგლისის ცნობა. ლოოსის, შეტიუნის და ტელზასის არხის შუა მდებარე ადგილებში, დიდი მოძრაობა დაიწყო. რამდენიმე წუთით გერმანელებმა ხელთ იგდეს ჩვენი თხრილები. ჰოგენცოლერნის რედუტის ჩრდილოეთით, ჩვენ ვესროდით მტრის სანგრებს. გიულიუხის ჩრდილო-დასავლეთით ორივე მოპირდაპირემ ნაღმი აფეთქა. ქვეითი ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. ფონსკისარის წინ ჩვენ ვესროდით მტრის სანგრებს და სენტ-ელუას ახლოს მტრის მორტირები ჩავაჩუმეთ.

პარიზი, 3 მაისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: ორ მაისამდე ვერდენთან სიწყნარე ჩამოვარდა. გერმანელები ჩვეულებრივად უშენენ ფრანგთა პირველ და მეორე ბრძოლის ხაზს. ფრანგებმა მაასის მაღლობებზე იერიში მიიტანეს, რამდენიმე მეტრით წინ წაიწიეს და ტყვეები იგდეს ხელთ. გერმანელებმა მთელ ბრძოლის ასპარეზზე სხვა და სხვა ადგილებში ჯარი გაგზავნეს, მაგრამ ვერსად ვერ წაიწია წინ. ეს ჯარის დანაწილება იმის ნიშანია, რომ სხვა ადგილებში უნდათ ბრძოლის ხაზის გარღვევა. ასეა თუ ისე გერმანელები ვერდენს თავს არ დაანებებენ და მის წინაამდეგ კვლავ ამოქმედდებიან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ასპარეზი.

რიგის ასპარეზზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ორივე მხარეს, ერთნაირად მოქმედობს არტილერია და ისიც არა ისე მკაცრად, როგორც აღინიშნა პირველ ხანებში. გერმანელები მეტად ფრთხილობენ, ალბად ახალს რასმეს აპირობენ, რომ ასე მიყუჩებულნი არიან.

მზვერავთა მოქმედებაც ძალიან სუსტია. რუსები ვრცლად არიან შეჯგუფებულნი და თანდათან ამრავლებენ მზვერავთა რიცხვს.

არა ნაკლებ ფრთხილობენ თვით გერმანელებიც უკანასკნელ ხანებში მათ რაღაც ნერვებ-აშლილობა დასჩემდათ. უცებ, შუაღამისას, პროჟექტორით გაანათებენ ასპარეზის ნაწილს და ისევ მიყუჩდებიან. მათ მიერ მოტანილ იერიშებსაც არა აქვთ მედგარი ხასიათი და რუსები მას სწრაფად იგერიებენ. სამაგიეროდ ენერგიულს მოქმედებას იჩენენ ნაროჩის ტბის მიდამოებში. სიცარი სისწრაფით აშენებენ ახალს [illegible] და

დიდძალს იარაღს ეზიდებიან გერმანეთიდან. ნაროჩის და ვიშნევსკის ტბის შუა თხრილების ახალი ხაზია გაყვანილი.

თუ მაინცა და მაინც მოქმედება სწარმოებს რიგის მიდამოებში, ეს გერმანელ მფრინავებისგან არის გამოწვეული. დასავლეთის ასპარეზზე გერმანელებმა ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს მოპირდაპირეს და მისთვის მფრინავთა დიდი ნაწილი აღმოსავლეთის ასპარეზზე გადმოიტანეს, სადაც დიდს იმედებს ამყარებენ.

ბალკანეთის ასპარეზი

მოკავშირეთ დასავლეთ მაკედონიაში ბრძოლის ხაზი გააფართოვეს და ფლორინამდე მივიდნენ, რომლის რკინის გზა ფრანგებმა უკვე აიღეს და გაამაგრეს კიდეც. თვით ქ. ფლორინა გერმანელებს და ბულგარელებს გაუმაგრებიათ. დოირანის მიმართულებით მხოლოდ ზარბაზნის სროლა ისმის. კორიციდან დეპეშით იტყობინებიან: ოსმალთა და ალბანთა რაზმები კორიცის რაიონში თარეშობენ. გარდა ამისა აქვე გერმანელი ჰაეროპლანები დაფრინავენ, რომლებიც საზვერავად იგზავნებიან.

ბულგარელთა მზადება

Journale de Balkans" სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება: ბულგარეთი დიდ მზადებაშია სალონიკის ასპარეზზე, ჯარს აჯგუფებენ და ადგილებსაც უცვლიან. მათი ორი დივიზია, რომელიც იცავდა რუმინეთის საზღვრებს დუნაიზე და დობრუჯთან, გადაიყვანეს სალონიკის ასპარეზზე. ამით არა კმაყოფილდებიან და გერმანელ ავსტრიელთა მაშველი ჯარი მოსდით. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ამ ადგილებში მოპირდაპირეთა შორის მკაცრი შეტაკება მოჰხდეს.

ფრანგთა მოქმედება ბალკანეთზე

მაკედონიის ასპარეზზე მზვერავთა რაზმების შეტაკება კვლავ გრძელდება ფრანგები ამ ადგილებში ამოქმედნენ და დოირანიდან სამხრეთით პატარა სიმაღლეს ზარბაზნებს უშენენ. ამ ადგილებში გერმანელთა არტილერია დროებით ჩაჩუმდა. სოფელ სულოვასთან გერმანელებმა კვლავ აახმაურეს ზარბაზნები. ამ სოფელში რამდენიმე სახლი ყუმბარებით მიანგრმოანგრიეს.

დოირანის მიდამოებში ფრანგთა ჰაეროპლანები გერმანელ-ბულგარელთა ბრძოლის ხაზს თავს დაესხნენ და ყუმბარები ჩამოყარეს. ყუმბარებმა მრავალ ადგილებში ცეცხლი გააჩინა და მტერს დიდი ზარალიც მიაყენა. ჰაეროპლანები უვნებლად დაბრუნდნენ უკან.

სერბთა ჯარის მდგომარეობა

კუნძულ კორფუდან მოსული სერბი დიპლომატი სერბთა ჯარის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს. ამ ხანობაში სერბთა ჯარის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოკავშირეთა დახმარების წყალობით ესენი მზად არიან თავი შესწირონ თავიანთ სამშობლოს. ფრანგები და ინგლისელები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც სერბთა სულიერ განწყობილებას ჰხედავენ. მემკვიდრე ალექსანდრე ხელ-ახლად უმაღლეს მთავარ სარდლათ დაინიშნა, ღენ. ბოიოვიჩი შტაბის უფროსად.

მფრინავი ჰავშტეტერი

ჰინდენბურგის ჯარის ასპარეზზე გერმანელთა მფრინავი რაზმები დიდ გამბედაობას იჩენენ. გერმანელ ტყვების სიტყვით მფრინავთა რაზმს ხელმძღვანელობს ფონ-ჰავშტეტერი, რომელიც წინედ საფრანგეთში იმყოფებოდა და არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ომის დაწყებამდე, იგი ყოფილა რუსეთშიც და პეტროგრადში ბევრჯელ უფრენია რუსის ავიატორებთან ერთად. ტყვეების სიტყვით პ-ზე ცეპელინების თავდასხმას ჰავშტეტერი ხელმძღვანელობდაო და ეს სრული სინამდვილეა, რადგანაც მან ყველაზე უკეთ იცის ფრენის საქმე და მით უმეტეს რუსეთის ასპარეზი, რომელიც კარგად აქვს შესწავლილი.

ქასრი—შირინი.

რუსებმა აიღეს ქალაქი ქასრი-შირინი რომელიც ბაღდადიდან 175 ვერსის მანძილზე იმყოფება. როგორც შემდეგ გამოირკვა ოსმალებს დიდძალი სურსათი და იარაღი ჰქონიათ აქ შენახული. რუსების მოწინავე ნაწილი კვლავ აგრძელებს ოსმალთა დევნას და მოსვენებას არ აძლევს. მაგრამ ესენი ეცდებიან ბაღდადისკენ ახალ ახალი სიმაგრეები დაახვედრონ რუსებს და მით გაუძნელონ მოქმედება. ამავე მიზნით გაამაგრეს ქალაქი ჰონინკენი, რომელიც ქასრი-შირინიდან 40 ვერსზედ იმყოფება.

საერთოდ, უნდა ვიფიქროთ რომ ოსმალნი ავრე ადვილად არ დასთმობენ თავის [illegible] ბაღდადს და ფულადის კედლებად გარს შემოერტყმიან. ეხლა, არა მარტო კუტ-ელ-ამარიდან, და სტამბოლიდან მოდის ჯარები ბაღდადის გასამაგრებლად, არამედ გერმანელებიც დიდად ეშველებიან, რადგან ბაღდადს დიდ მნიშვნელობას აძლევენ გერმანელთა გარდა ოსმალთ ბალკანეთიდანაც მოდის ავსტრიელთა მაშველი ჯარი.

ბრძოლის ველზე

კავკასიის ასპარეზი

მთელი კვირის განმავლობაში, თქმა არ უნდა, ყურადღების ღირსი ისევ კავკასიის ასპარეზია. მთავარი შტაბის მოხსენება რიგ-რიგობით იხსენიებს, ხან ერზინჯანის მიმართულებას, ხან ბაიბურთ-აშკალისას, ხან დიარბექირისას და ხან კიდევ ბაღდადისას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვითეული გახსენება დღე გამოშვებით ხდება და თვითეულ მიმართულების ანგარიშს მეტად ნაგვიანევად ვიღებთ. მაგალითად, ერზინჯანის მიმართულებით ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ ხანებში ოსმალებმა მძლავრი იერიშები მოიტანეს და მოწინავე პოზიციები დააცლევინეს რუსებს. მაგრამ რა მოხდა შემდეგ, ეპიზოდიური ხასიათი მიიღო ამ ლაშქრობამ თუ ოსმალებმა შემდეგშიც განავითარეს, ეს აღარ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით მდგომარეობა გაცილებით სერიოზულია და არახელსაყრელი რუსთათვის, ვიდრე ეს შეგვეძლო გვეგულისხმა ტრაპიზონის სახელოვან გამარჯვების შემდეგ. ამას რუსის სამხედრო მიმომხილველნიც აღარ ჰმალავენ. „ბირჟ. ვედ." მიმომხილველი ბ-ნი შუმსკი, მაგალითად, ამ გარემოებას იმითი ჰხსნის, რომ რუსებს ორი ოპერაციის ერთად წარმოება არ ჰსურთ, რათა ძალთა დაქსაქსვა არ მოუხდეთ. რუსთა ჯარების ისეთს ერთგვარ მარცხის გამართლება შეიძლება მაშინ მივიღოთ, თუ მართლა მოგერიებითი ტაქტიკა კარგად მიდის. სტრატეგიაში კი მოგერიებით გზას იშვიათ და იძულებით შემთხვევაში ადგებიან. ინიციატივას ასე ადვილად არ უთმობენ მოწინააღმდეგე მხარეს და ეს მით უფრო საკვირველი ხდება გამარჯვებას შეჩვეულ გენერალ იუდენიჩის ლაშქარისთვის, მართალია, რევანდუზას აღებით თითქოს იჩრდილება ამ მხარის ერთგვარი მარცხი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რევანდუზას დაცემამაც დიდს არას წარმოადგენს ოსმალთათვის. ვიდრე ევფრატის ღელეში ფეხს კარგად არ მოიკიდებენ, ვიდრე გენერალ ბარათოვის ცხენოსნები არ შეუერთდებიან ბითლისით წამოსულ ჯარებს, ვიდრე თვითონ ბაღდადის კარზე არ გავარდება ზარბაზანი, ამ მხარეს წინსვლას საეჭვო აღტაცებით უნდა შევეგებოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისელთა ჯარები ერთ დროს კუტელ-ამარას დაეუფლნენ, გვახსოვს ისიც, თითქოს ბაღდადის ბედიც მორიგ საკითხად ჩაითვალა, მაგრამ... ისიც არ დაგვავიწყდება, თუ გამარჯვებულთა წინსვლა როგორ უეცრივ შეჩერებულ იქმნა, უკუგდებულნი როგორ ჩაჰკეტეს კუტში და ოთხი თვის ალყის შემდგომ კიდეც იარაღი ისე დააყრევინეს, რომ გენერალ ელმერისა და ლეკის მაშველი ჯარებიც ვერას გახდნენ და თავთავიანთი მხრით იმავ ტიგროსის ღელეში იქმნენ შემწყვდეულნი.

რუსთა წინსვლა, ისიც ასე თავისუფლად, თითქმის უბრძოლველად კუტის დაცემის შემდეგ რატომღაც საეჭვოდ მიგვაჩნია. ინგლისური პრესის განცხადებით ამ ოპერაციის შემდეგ ოსმალთ უკანასკნელი სამი კორპუსი მაინც გაუნთავისუფლდათ. მერე რა იქნა ეს ჯარი? არავინ იცის. ეგონათ, თითქოს ნაწილი გენერალ ბარათოვის საწინააღმდეგოდ გაიგზავნაო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დღემდე ბარათოვს სერიოზული შეხლა არ მოსვლია ოსმალთა რეგულიარ ჯარებთან. მისი ჯარები თითქმის უბრძოლველად ჩავიდნენ კასრი შირინში. აქედან ბრძოლის მიმართულების ისარი გადახრილია ხანიკონისკენ და აქედან ბუნებრივად დეზი ბაღდადს ემუქრება. მაგრამ, როგორც ვიცით, ამ შემთხვევაშიც რუსები თავისუფლად მიდიან. რას ნიშნავს ყველა ეს? ჩვენ არ გვსურს დავიჯეროთ, ვითომც ბაღდადი სათამაშო ნივთია, ვითომც ამასაც ისევე თავისუფლად დასთმობენ, როგორც დასთმეს ქერმანშაჰი თუ სპარსეთის თითქმის ყველა ქალაქი. ბაღდადი უფრო, ვიდრე რომელიმე ქალაქი მეტად და მეტად ძვირად უღირთ არა თუ ოსმალთ, პირდაპირ გერმანელებს, ინტერესები მათი აგერ 15 წელია აქაა მიჯაჭვული. მისი დათმობა მთელი ნამუშევარის გაქრობას უდრის. აი, ალბად ეს აქვს ბ-ნ შუმსკის მხედველობაში, ოდესაც გვეუბნება, ჩვენი ჯარი ორი ოპერაციის ნაცვლად ერთს აწარმოებს და ეს ერთიც ბაღდადის მიმართულებააო.

სრულიადაც არა გვსურს პოლემიკაში გავებათ. მთავარი გეგმა კავკასიის ასპარეზზე რუსებისა ყოველ შემთხვევაში ბაღდადი კი არა, არამედ სტამბოლი იყო. ამ მიზნით არა დაჰზოგეს რა აზრუმის ასაღებად, ამისთვისვე მიდიოდნენ ტრაპიზონისკენ, სადაც ათი ვერსის იქით, პალატინთან შეჩერდნენ და ვეღარ, მოდიან. პირის ბრუნებას არ მიეწერება ბაღდადით სვლა, არა! შუმსკის კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ რევანდუზას დაცემას მნიშვნელობა იმ დღემდე არ ექნება, ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნებიან, ვთქვათ თუნდა დიარბექირის მიმართულებით, საიდანაც შესაძლებელია ოსმალნი ზურგით მოექცნენ და მთელი ამდენი ხნის გამარჯვება გაუნიავონ.

თუ საშიშოა დიარბექირი, მით უმეტეს სახიფათოა ერზინჯანისა და ბაიბურთ-აშკალას მიმართულებით, აქ თავდაცვის ტაქტიკა არ კმარა. გენერალი იუდენიჩი უნდა ეცადოს არა თუ პოზიციები შეინარჩუნოს, არამედ ისე დაამარცხოს ოსმალთა ძალა, რომ შემოტევის სურვილიც კი დაუკარგოს, თუ ეს ასე არ მოხდა მაშინ, ყოველთვის ხიფათია მოსალოდნელი და თვით ბაღდადიც რომ აღებულ იქმნეს, მაშინაც კი ცენტრის გარღვევა და გზის მოჭრის აჩრდილი მუდამ ფეხ და ფეხ აედევნება გამარჯვებულთ.

X.

თბილისი, 5 მაისი.

აფხაზთა დეპუტაცია ეგზარხოსთან. საქართველოს საეგზარხოსოდან სოხუმის ეპარქიის ჩამოშორების პროექტმა სამართლიანი პროტესტი გამოიწვია შეგნებულ ქართველ საზოგადოებაში. აქ ყველამ დაინახა ახალი იერიში ისედაც გაძარცული და დაუძლურებული ქართული ეკლესიის დასამხობად. აქ ქართულმა პრესამ და იქ რუსეთში „პეტროგრადის უწყებებმა" აუარებელი საბუთებით დაამტკიცეს, თუ რამდენად არაკანონიური იყო ასეთი განზრახვა და თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა იგი საქართველო—აფხაზეთის წარსულის შინაარსს. ეს საკითხი ინტელიგენტურ სფეროებიდან ძირს დაეშვა და თვით სოხუმის ოლქის მკვიდრთა ყურადღება მიიპყრო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რას იტყოდა თვით სოხუმის მრევლი, რომლის რელიგიურ სინიდისს და ეკლესიურ ტრადიციებს ეს პროექტი უმიზნებდა. ყველაფრიდან სჩანდა რომ ამ პროექტის ჩამგონებელნი სოხუმის ეპარქიის ჩამოშორების საჭიროებას თვით ამ ოლქის მკვიდრთა სურვილით ასაბუთებდნენ. უკანასკნელი სიტყვა, მაშასადამე, ეკუთვნოდა თვით აფხაზობას, თვით მრევლს, და აი სწორედ უკანასკნელ ინსტანციაში თვის ინტერესის დამცველად თვით ეს ხალხი გამოვიდა და ალაპარაკდა.

„საქართველო"-ს ოცი აპრილის ნომერში მოთავსებული იყო აფხაზების შუამდგომლობა უწმინდეს სინოდის წინაშე, სადაც აფხაზები ითხოვენ რომ სოხუმის ეპარქია საქართველოს საექსარხოსოდან არ გამოწირულიყო. ამ შუამდგომლობას ლამაზად ასაბუთებდენ ქართველ-აფხაზთა საერთო ისტორიული წარსულის უფლებით. აფხაზების მოწინავე საზოგადება არც ამით დაკმაყოფილდა და საგანგებო დეპუტაცია, სოხუმის ოლქის სხვა და სხვა ნაწილის წარმომადგენლებისგან შემდგარი, თბილისს გამოგზავნა.

ამ დეპუტაციამ, რომელშიაც შედიოდენ, **სამურზაყანოდან** თ-დ პეტრე ანჩაბაძე, მელიტონ ემუხვარი, ნოჩო მარღანია და გლეხობის მხრივ მიხაილ ეზურბაია, ხოლო სოხუმის ოლქის დანარჩენი 3 საბოქაულოდან თ-დი ალექსანდრე შარვაშიძე, დიმიტრი მარშანია, გიორგი კონსტ.-ძე შარვაშიძე, ასტამურ ინალიფა და გლეხობის მხრივ ერთიც აფხაზი მასწავლებელი, ინახულა მეფის ნაცვალი და საქართველოს ექსარხოსი. თავის თხოვნის მთავარ პუნქტად როგორც პირველთან, ისე მეორესთან დეპუტაციამ წამოაყენა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საექსარხოსოში დატოვების საკითხი და ისიც რომ აფხაზების სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო ყოფილიყო; ხოლო სამურზაყანოში ქართული ენა ეხლავე შემოიღონ. დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს დეპუტაციის თხოვნა დიდის გულის ყურით მოუსმენია და აღუთქვამს ყოველი მათი კანონიერი უფლების დაცვა და დაკმაყოფილება.

საქართველოს ექსარხოსსაც მოწყალებით მიუღია აფხაზების დეპუტაცია და, რა მოუსმენია მათი თხოვნა, უთქვამს, „მე ხმები მომდიოდა თითქოს აფხაზებს სდომებოდეთ სოხუმის ეპარქიის გამოყოფა საქართველოს საექსარხოსოდან, მაგრამ რადგან ეხლა თქვენგან, როგორც ხალხის წარმომადგენლებისგან, ხალხის ნამდვილი სურვილი მესმის, ვეცდები რომ სოხუმის ეპარქია არ გამოთიშონო". აი თურმე რაში ყოფილა საქმე! ჩვენი და აფხაზების ისტორიული კავშირისა და ერთობის დაუძინებელნი მტერნი, რომელნიც divide et impera-ს დასდგომიან, ყოველგან ხელს ურევენ და ცდილობენ ჩვენს განცალკევებას, რომ მერე თითეულზედ ადვილად გაბატონდნენ. კერძოდ სოხუმის ეპარქიის საკითხში აფხაზთა შეგნებულმა საზოგადოებამ მოკლედ მოსჭრა, რა განაცხადა თავისი ურყევი სურვილი წერილობით შუამდგომლობისა თუ დეპუტაციის პირით. სოხუმის ეპარქიას საქართველოს საექსარხოსოში სურს დარჩენა. პატივი ეცით ამ სურვილს, რომელიც მრავალი საუკუნის ისტორიული სინამდვილის და სამართლიანობის ხმა არისო! აფხაზების შეგნება და სიფხიზლე ამ საკითხში აშკარად საქვეყნოდ გამოცხადდა.

უკანონო განზრახვის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველების და აფხაზების ერთად გამოსვლა და ხმის ამოღება სასურველ ნაყოფს გამოიღებს, და უნდა ვიმედოვნოთ რომ სოხუმის ეპარქია ისევ ისე საქართველოს ეკლესიის განუკვეთელ ნაწილად დარჩება. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ეს უნდა გვახსოვდეს ყოველ საზოგადო საქმეში.

გრძნობათა ცვლილებანი

გაზეთებში მოყვანილი იყო სიტყვები, რომლითაც გერმანელი სარდლები ბრძოლის დაწყების წინ ხშირად ჯარისკაცების გამხნევებას სცდილობენ თურმე. „თქვენს წინაშე შეერთებული ევროპა სდგას. ეს ერები შეაკავშირა შურმა და სიძულვილმა ძლიერი გერმანიისადმი: მათ სურთ თქვენი განადგურება, მათ სურთ იმ წმინდა ნიადაგის გათელვა, რომელზედაც დაიბადეთ და აღიზარდენით. თქვენ უნდა დაიცვათ თქვენი კერა, თქვენი მახლობლები და თქვენი საკუთრება, დაიფაროთ ის დედამიწა, რომელზედაც განმტკიცდა წარსული და განვითარდა მომავალი გერმანელი ტომისა. შეხედეთ გერმანულ სამშობლოს, რომლის მოპარვას გიქადიან! ამ მინდვრებს, ტყეებს, მდინარეებს საერთო სული აქვთ,—ეს თქვენი სულია! ამ მინდვრებმა გამოგკვებეს, მასშია დამალული მომავალი ჭირნახულიც. ამ მიწას უყვარხართ და გიცავსთ. ის გაძლევთ ქვას, ხესა და რკინას თქვენი სახლებისათვის, ატარებს თქვენს ცოლებს და შვილებს, განსვენებას აძლევს თქვენს მიცვალებულებს! აი რის წართმევა სურთ მტრებს. დაიჩოქეთ! მოეხვიეთ და აკოცეთ ამ ღვთაებრივ დედამიწას! გერმანიის შვილებო, შეჰფიცეთ რომ დაიხოცებით მისი გულისთვის".

მგონია რომ ასეთმა სიტყვებმა მისტიური თრთოლა უნდა გამოიწვიოს უბრალო ადამიანებში, რომელნიც სამხედრო ტანთსაცმელში არიან გახვეულნი. პატრიოტიზმი არ არის განყენებული გრძნობა: ის, უწინარეს ყოვლისა, ხელ შესახებ ნივთთა სიყვარულია. არის რაღაც ელემენტური და ინსტინქტიური ამ გრძნობაში. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება რომ, როცა ხალხი ძლიერია ბიოლოგიურად, მასში ძლიერია პატრიოტიზმიც. პირიქით ბიოლოგიურ გადაგვარებას, ცხოვრების ხალისის დაკარგვას, უკიდურესი პესიმიზმის გაბატონებას პატრიოტული გრძნობის მოდუნება მოსდევს. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. უკანასკნელი საუკუნისა თუ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ზოგიერთ ევროპიულ სახელმწიფოს უეჭველი დეკადანსის ნიშნები აღმოაჩნდა. მათ შორის განსაკუთრებით საფრანგეთს; ქვეყანა ერთგვარმა ზნეობრივმა გულგრილობამ მოიცვა, გამრავლების ინსტინქტი დაიხშო, სულიერი ძიების წყურვილი შესუსტდა; პრაქტიკულ ცხოვრებაში ეგოისტური და ინდივიდუალისტური მორალი გაბატონდა, პოლიტიკაში ანტიმილიტარიზმი და კოსმოპოლიტიზმი, ლიტერატურაში აშიკობის და ღალატის რომანი. ყველა ამას პატრიოტული გრძნობის შესუსტება მოჰყვა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ გუსტავ ერვე ალზასისა დ ლორენის შესახებ შემდეგსა სწერდა: „ამ დავიწყებულ პროვინციებისთვის მე არ მივსცემდი არც ჩემი მარჯვენა ხელის ნეკს, არც ჩემი მარცხენა ხელის ნეკს. მგონია რომ ბოლო უნდა მოეღოს ამ ორი პაწია დამონებული დის კომედიას, რომელნიც დაჩოქილან საზღვრის მიჯნასთან და გულშემზარავად ბღავიან იმის მაგივრად რომ შინ წავიდნენ და თავისი ძროხები მოსწველონ. არა, ჩვენ არა ვართ პატრიოტები". ასეთ სიტყვებს გუშინ კიდევ საფრანგეთის ერთი ნაწილი ტაშს უკრავდა, ხოლო მეორე გულგრილად უსმენდა. სხვათა შორის ამით აიხსნება რომ საფრანგეთმა ბევრი მწარე წუთები გამოსცადა ომის დასაწყისში. მაგრამ შემდეგ, ბრძოლის პროცესში, საშინელი განსაცდელის წინაშე ერმა ხელახლა მოიკრიბა თავისი ძალღონე. აღმოჩნდა რომ ავადმყოფობას ჯერ კიდევ ფრანგი ერის ხერხემალი არ დაუზიანებია და ჯერ კიდევ ცოცხალია დიდი ლათინური ტომი. მარნაზე და ვერდენთან ხელახლა მკვდრეთით აღსდგა ძველი მუშკეტერების და გრენადერების ძლიერი სული. ამას პატრიოტული გრძნობის აღორძინება მოჰყვა. დღეს იგივე გიუსტავ ჰერვე ამტკიცებს რომ ზავი შეუძლებელია თუ გერმანიამ საფრანგეთს ელზასი და ლორენი არ დაუბრუნა.

ასეთი ცვლილება მარტო მებრძოლ ერებს როდი ეტყობა. ეპოქის სულმა თავისი ნიშანდობლივი ბეჭედი დაასვა იმ ერებსაც, რომელნიც მსოფლიო ომში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ. ჰაერი ახალი იდეებითაა გაჟღენთილი: ეროვნული სხეული ხშირად შეუგნებლად ისრუტავს ახალ შემეცნებას.

დღეს არც ქართველები ვართ ის რაც გუშინ ვიყავით. მგონია რომ ჩვენც გავახალგაზრდით რამოდენიმეთ. დედა ენის რითმსა და მელოდიას უკეთ ვგრძნობთ, სამშობლო ბუნების რელიეფს უკეთ ვხედავთ. ეს დიდი წინსვლაა. კიდევ უფრო საყურადღებოა ის რომ პირად ინტერესთა ბრძოლა თანდათან ექვემდებარება ეროვნული ინტერესის იდეას. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ძლივს ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ რაც ერთმა რუსის მოხელემ შემდეგი სასტიკი, მაგრამ სამართლიანი სიტყვებით დაგვახასიათა: „სამშობლოს სიყვარული, რომელიც ისეთის ძლიერებით იბრძვის კეთილგონიერთა გულში, საქართველოს მცხოვრებთათვის უცნობი და გაუგებარი გრძნობაა... ერთსულობა და თანხმობა უცხო ხილია მათთვის. კერძოობით და პირადობით გატაცებულნი არიან და თავიანთ სარგებლობათ ის მიაჩნიათ მხოლოდ რომ უწესოება სუფევდეს და კერძოდ არავის საქმე არ მოეწყოს რიგიანად და კეთილად. აქედან სჩანს, რომ თვითმპყრობელობა და თავქეიფობა ერთად თავსდებოდა ამ ქვეყანაში".

შეიძლება ერთი რამ იყოს გადაჭარბებული ამ დახასიათებაში: სამშობლოს სიყვარულს სავსებით არც გუშინ ვიყავით მოკლებული. მაგრამ ჩვენი პატრიოტიზმი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ინსტინქტიური, ნახევრად შეუგნებელი იყო. ჩვენ გვიყვარდა სამშობლო, როგორც ცხოველს თავისი თბილი ბუნაგი უყვარს. დღეს დროა პატრიოტიზმი ინსტინქტთა სფეროდან იდეათა სფეროში ავიყვანოთ ე. ი. მას ადამიანური აზრი და შინაარსი მივსცეთ.

ორი რამისთვის იბრძვიან თანამედროვე ერები: გაერთიანებისა და თავისუფლებისთვის. ძველი ლაზისტანის და ტაოკლარჯეთის დაპყრობით შეიძლება ისტორიული საქართველოს გაერთიანება დამთავრდეს. მაგრამ ეს გაერთიანება ჯერჯერობით გარეგნული, მექანიკურია. და ესეც არ იყოს გაერთიანება როდი კმარა ეროვნების ნორმალური არსებობის უზრუნველსაყოფად...

შეგნებულ, მომქმედ პატრიოტიზმს ფართე ასპარეზი ეშლება.

გერონტი ქიქოძე.

ახალი ხერხი

ჩვენი გაზეთის სამი მაისის ნომერში ნათელ ვყავით რომ სომხურმა პრესამ „კავკასკოე სლოვო"-ს მეთაურობით იკადრა ყოვლად უკადრისი და შეუწყნარებელი; როცა სინამდვილემ საბუთი არ მისცა საერობო თათბირის უმრავლესობის გასაკილავად, იდგა და თვით შეთხზა სინამდვილე: ბურთს პირში გვჩრიან, ცენზურა დაგვადესო! მოახდინა ძველი ნაცადი ოპერაცია. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს არა-კეთილშობილური საქციელი იმისთვის იყო ნახმარი, რომ სომეხთა დამფრთხალი ლაშქრისათვის, რომელიც ბრძოლის ველს [illegible], გული გაემაგრები[illegible] მკითხველს მივანდეთ, ჩვენ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა ვიკმარეთ.

ეხლა გარემოების მეორე მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

მთელი ერთი კვირაა, რაც სომხურ პრესას რევოლიუციურ დემოკრატიზმის ისტერიკა დაემართა და პირდაპირ საცოდავ წყვეტებში სული ამოსდის.

ქვეყნის ხერხს ხმარობს, რომ თაღლითობა სინამდვილეთ მოგვაჩვენოს. და არ იცის, რომ ამ ჩვენს საუკუნეში, ანალიტიურ მეთოდების სიუხვის ხანაში, ამგვარი „შრომა დაკარგულია"!! სომეხთა პრესა და სომხის პლუტოკრატები, რომელთა სულს დემოკრატიზმი არც ერთ სხვა შემთხვევაარ გაჰკარებია, დღეს ჯვარს ეცმებიან დემოკრატიულ პრინციპებისთვის და რაც უფრო გასაკვირია, ქართველ გლეხობისა და მუშათა კლასის დამცველად გამოდიან!! მოდი და ამის შემდეგ გონიერი უწოდე ხალხს, რომელმაც თავს იდვა შეუძლებელი და რა ვერ აღწევს მიზანს, ანჩხლი მოსდის, ბრაზობს კიდევაც, აზარტში შედის და თავის უკანასკნელ მოთმინებას და თავდაჭერილობას ჰკარგავს!! ამ გვარად დავიხსომოთ, რომ სომხები ქართველ თავად-აზნაურობისა და თავად-აზნაურულ ერობის წინააღმდეგ ქართველ დემოკრატიას იცავენ! ვერა ხედავთ თუ საკენკს სად გადისვრიან? ეს ძველი ფონია, კარგად აქვთ იგი შესწავლილი. არა ერთჯელ გაღმა გაუღწევიათ იმის წყალობით. მაგრამ დღეს არ იციან, რომ მდინარემ უკვე „ფორვატერი" იცვალა. გაღრმავდა, სადაც თხელი იყო და ძველი ფონი დღეს საიმედო აღარ არის. თქვენი საკენკები ვერავის დაახარბებს, რადგანაც თვალთმაქცობა თქვენი ერთობ აშკარაა, პირდაპირ გულშემზარავი. ქართველმა დემოკრატიამ, რომელმაც დემოკრატიზმსა და განმათავისუფლებელ მოძრაობას აუარებელი მსხვერპლი შესწირა, განა არ იცის რომ საქართველოში მცხოვრები სომხობა მას გვერდში არ უდგა?! ნუ თუ გგონიათ მართლა, რომ ქართველმა ხალხმა არ უწყის, რომ იმ დროს, როდესაც მთელი საქართველო განმათავისუფლებელ მოძრაობაში იყო ჩაბმული, კავკასიის სომხობა მოძრაობის გარეშე იდგა და დაშნაკცუტუნის პარტია თვის საკუთარ საქმეს აკეთებდა?! ნუ თუ მართლა გგონიათ, ბატონებო, რომ იმავე ქართველმა ხალხმა არ იცის რომ როდესაც საქართველო იწოდა და იგვემებოდა ამ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, კავკასიის სომხობა ამ ცეცხლით თბებოდა?! საქართველოს შვილებს დემოკრატიულ მოძრაობის შექმნაში არამც თუ კავკასიის ერის წინაშე მიუძღვის დიდი ამაგი, არამედ მთელი რუსეთის ხალხის წინაშეც ქართველი სოციალდემოკრატები რუსეთის სახელმ. სათათბიროში სოციალდემოკრატიულ ფრაქციას ხელმძღვანელობენ და ამშვენებენ ამ სათათბიროს შემოღების პირველ დღიდანვე. მთელი 15 წელიწადია რაც ქართული პრესის ასი პროცენტი უკიდურეს მემარცხენეობას ნერგავს ხალხში და საქართველოში სოციალიზმსა და სოციალისტურ დემოკრატიზმს განამტკიცებს მაშინ როდესაც მთელი სომხური პრესა პირიქით დაპყრობითი ეროვნული პოლიტიკის ფსიხოლოგიას განუმტკიცებდა თვის მკითხველებს და ახორციელებდა კიდევაც ამ პოლიტიკას დემოკრატიზმით იდეალისტურად გატაცებულ ქართველი ხალხის სამკვიდრებელში! თქვენმა სოციალისტურა „პაიკარმა" მხოლოდ გუშინ გამოჰყო თავი. მთელ ქართველ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მისწრაფებას ღრმად აზის ეს დემოკრატიული სულისკვეთების ბეჭედი. გადაილესა და თითქმის წარიხოცა წოდებრივი ზღუდეები. ქართველ თავად-აზნაურთა ინსტიტუტები თავიანთ ქონებას და შემოსავალს ვიწრო წოდებრივს კი არ ახმარებენ, არამედ საერთო ეროვნულ-კულტურულ საქმეებს. თავად-აზნაურთა გიმნაზიები გლეხების შვილებისათვისაც ღიაა. ამათი რიცხვი აზნაურებისას არ ჩამოუვარდება. ეს არის შედეგი იმისა, რომ ჩვენში ძლიერია დემოკრატიული, წმინდა ხალხოსნური ფსიხოლოგიის ბრძანებლობა.

აი რას გვეუბნება ამ უკანასკნელი წლის ისტორია, აი რას გვეუბნება დღევანდელი ფაქტები!!

და ასეთ ხალხში, რომელიც კავკასიაში დემოკრატიულ მოძრაობას მესვეურობდა და რომლის შვილები, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებაში, ნიადაგ თავის ქვეყნის განსაკუთრებული ინტერესის მივიწყებამდე ამ დემოკრატიზმს

ილავენ,—აი, ასეთ ხალხში, და ასეთ ხალხის ქვეყანაში სომხური პრესა და სომხის პუბლიცისტები პირად ეგოისტურ ეროვნულ ლტოლვაში და პლუტოკრატიულ სულისკვეთებაში ჩაჟანგებული, ბედვენ დემოკრატიულ დროშის აფრიალებას დღევანდელი საერობო თათბირის გარშემო!! ასეთ ხალხის ქვეყანაში, სომხის პლუტოკრატ-პუბლიცისტები à la დოლუხანოვ დემოკრატიზმის მოძღვრებად გამოდიან დ წარმოუდგენლად გაიძახიან: ქართველი ერის დემოკრატიას ვიცავთ და იმიტომ ვებრძვით ქართველ თავად-აზნაურობის საერობო პროექტსო?!

ერთობ გამჭვირვალეა თქვენი მიზანი და ერთობ ტლანქია ხერხი, რომელიც ამის მისაღწევად აგირჩევიათ და აბა როგორ უნდა ინებოთ, ან შეძლოთ თვალხილულის დაბრმავება, საღი გონების გაბრიყვება. იქ ვერ მიგიმართავთ, საცა გიჯობდათ. უკაცრავად, მისამართი შეგშლიათ!

დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

„ბირჟევია ვედომოსტის" სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი შუმსკი სწერს, რევენდუზის ალების შემდეგ, რუსის ჯარს ორი სალაშქრო გზა ეხსნება მოსულისკენა და ბაღდადისკენ. ოსმალთა შემოტევა და წინსვლა ერზინჯანის მიმართულებით იმ გარემოებით აიხსნება რომ რუსებისთვის აქაც და იქაც ორი ოპერაციის წარმოება ერთსა და იმავე დროს შეუძლებელია; ამიტომაც აქ ერზინჯანის მიმართულებით მოგერიებით გზას დაადგენ. გერმანელები იძულებული იქნებიან ერზინჯანს თავი გაანებონ და ბაღდად-მოსულს მიაშურონ.

—

განზრახულია რევიზია გაუკეთონ ტატიანის სახელობის ყველა ორგანიზაციას.

ლ. ჯ.

(ხარკოვის საკუთარ კორესპოდენ.)

2 მაისს ჩვენი თანამემამულე და დამსახურებული მსახიობი ალ. სუმბათაშვილი (იუჟინი) მოსკოვიდან გამოემგზავრა თბილისში, სადაც ის გაიწვევს რამდენიმე გასტროლებზე.

—

გაიფიცნენ სტუდენტები ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტისა, სხვა მოთხოვნილებებთან ერთად ისინი მოითხოვენ პროფესორ პოლიაკოვის უნივერსიტეტიდან დათხოვნას, მათ გადაწყვიტეს არ დაესწრონ პროფესორ პოლიაკოვის არც ერთ ლექციას. გაფიცვა გრძელდება.

—

ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურმა და იურიდიულმა ფაკულტეტმა გადასწყვიტა შემოდგომაზე მ. კოვალევსკის ხსოვნის აღსანიშნავად მოაწყონ ლიტერატურული საღამო უნივერსიტეტში. აგრეთვე გადასწყვიტა პეტროგრადიდან განსვენებულის ცხედარი გადმოასვენონ ხარკოვში და დაასაფლაონ საგვარეულო სასაფლაოზე.

—

აქ მყოფი ქართველი ახალგაზრდობა ძლიერ დაალონა მგოსანი ი. ევდოშვილის გარდაცვალებამ.

—

4 მაისს მინისტრი ბარკი მიემგზავრება პარიზს, სადაც ის ინახულებს რიბოს, იქიდან ლონდონში.

ი. ჟ—ი.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე დოლაჟის ტბის მიდამოებში გერმანელები შეიჭრნენ რუსების თხრილებში, მაგრამ რუსებმა კონტრ-იერიშებით განდევნეს.

—

ვერდენის მიდამოებში დასავლეთით მაასიდან გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს ფრანგთა პირველ და მეორე ბრძოლის ხაზებს.

—

გერმანელებმა შამპანშიაც აახმაურეს ზარბაზნები.

—

იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით, იმ მოწაფეთ, ვინც საშუალო სასწავლებელი დაასრულა 1916 წ. და დაბადებულია 1897 წლამდე, ნება ეძლევათ 1 ღვინ. 1916 წლამდე უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა.

იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო

3 მაისს, საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გადახდილი. მღვდელთმოქმედება შესრულა დეკ. კალ. ცინცაძემ. მიუხედავად იმისა, რომ პანაშვიდის გადახდა გამოცხადებული არ იყო გაზეთებში, ეკლესიას დიდძალი საზოგადოება მოაწყდა.

— საღამოს 8 საათზე განსვენებულ მგოსნის პატივისმცემელნი შეიკრიბნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და ითათბირეს ცხედრის დასაფლავების შესახებ, ყველანი იმ აზრის იყვნენ, რომ დასაფლავება მოხდეს კვირას, 8 მაისს, დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა საპანთეონო ადგილას. ამასთანავე არჩეულ იქმნა 4 კაცისაგან წინასწარი კომისია, რომელსაც დაევალა მოწვევა მეორე დღესვე (4 მაისს), საღამოს 8 საათზე, „ახალი კლუბის" საზამთრო ფოიეში, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლებისა, რომელთაც უნდა აირჩიონ საგანგებო ბიურო მგოსნის ცხედრის დასაფლავების მოსაწესრიგებლად.

— ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, პანაშვიდი იქნება გადახდილი ქვაშვეთის ეკლესიაში.

—

გუშინ, 4 მაისს, საღამოს 8 საათზე „ახალი კლუბის" დარბაზში დანიშნული იყო კრება ირ. ევდოშვილის დასაკრძალავ კომიტეტის ამოსარჩევად. მოწვეული იყვნენ ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. არჩეული კომიტეტი გუშინვე შეიმუშავებდა დაკრძალვის წესრიგს. იგივე კომიტეტი მიიღებს შემოწირულებას დაკრძალვის ფონდისათვის. ყოველისფერი ხვალე დაწვრილებით გამოცხადდება გაზეთებში.

—

წ.-კ. გამგეობის დადგენილება.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 3 მაისს: 1) გადასდოს 100 მან. მგოსნის ცხედრის დასაფლავების საჭიროებისათვის: 2) დაუთმოს დასაკრძალავად ადგილი ქართველ მოღვაწეთა პანთეონში; 3) მგოსნის პანაშვიდებს და დაკრძალვას დაესწრას გამგეობა საზოგადოების სახელით და 4) საზოგადოების წარმომადგენლებად დამკრძალავ ბიუროში გაგზავნოს გამგეობის წევრნი ქ-ნი ნინო ნაკაშიძე და ბ-ნი იპ. ვართაგავა.

—

„ახალ კლუბის" მასახლისთა საბჭომ 50 მანეთი გადასდო ირ. ევდოშვილის დაკრძალვის ხარჯებისათვის.

—

საბურთალოს სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა იზიარებს ქართველი ერის მწუხარებას, გამოწვეულს ნიჭიერის პოეტის იროდიონ ევდოშვილის უდროოდ დაკარგვით.

წრის გამგეობა.

დეპეშები

ბათუმი. გაზეთ „საქართველოს" მკითხველნი ღრმად დამწუხრებულნი ვართ ირ. ევდოშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო. მის ნათესავთ და მეგობართ ვუცხადებთ გულითად მწუხარებას.

აბაკელია.

—

გულითად მწუხარებით ვგლოვობთ ძვირფას საქართველოს დაუვიწყარ მგოსნის ევდოშვილის გარდაცვალებას.

თბ. მეორე სავაჟო გიმნაზიის
უფროსი მოწაფენი.

—

ბათუმი. ბათუმის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა წრე მწუხარებით გლოვობს ხალხის საუკეთესო მომღერლის დაკარგვას.

დრამ. ხელ. მოყვარულთა წრე.

—

ბათუმი. ღრმად დამწუხრებული ვარ ნათელ მომავლის მომღერლის დაკარგვის გამო.

მსახიობი ბარველი.

—

სიღნაღი. ქიზიყმა აწოვა ევდოშვილს ძუძუ. მან მოუვლინა საქართველოს შეუპოვარ და ტკბილ ჰანგების მომღერლად, საამაყოდ ჩვენი ერისა. გული დაგვიწყვიტა მისმა უდროოდ გარდაცვალებამ.

ქვემო ქიზიყელნი.

ბათუმი. ბათუმის წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილების სამართველო საქართველოსთან ერთად მწარედ დასტირის მრავალ ტანჯულის ძმობა-ერთობის და თავისუფლების მომღერალის ირ. ევდოშვილის ცხედარს. კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი.

გამგეობის თავმჯდომარე
გრიგორი ელიავა.

—

ზუგდიდი. მწარე ცრემლიანით დავსტირი ძვირფასი მგოსნის დაკარგვას და ჩვენს ერს ვუსურვებ: „ჭირსა შიგან გამაგრებას".

თავადი **ტოტო შერვაშიძე.**

—

გორი. სამშობლოს მწუხარებას ვუერთებთ ჩვენს ცრემლებს, ჩანგი გადატყდა, მაგრამ მისი ჟღერა მოედება მთელს საქართველოს.

გორის სავაჟო გიმნაზიის
ქართველი მოწაფენი.

—

ბაქო. უდროოდ დანაკარგს—ევდოშვილს დიდათა ვგლოვობთ.

ჭუმბურიძე, ბარამიძე, პავლიაშვილი, გოგუა, მიქაბერიძე.

წამების რაინდი

„დედავ-მშობელო, სამშობლო მხარევ,
მნახველო მრავალ ტანჯვა და ჭირის,
დღეს კვლავად ახველ გოლგოთაზედა
კვლავ წილადა გხვდა ჯვარი წამების..
აჰა: თქრიალებს სისხლი უმანკო..."
ირ. ევდოშვილი.

დაწყდენ გრძნობის ძაფები ერის სწორუპოვარის ნორჩის ჭირისუფალისა... გაცივდა გული მარად ერის სიცოცხლისთვის მძგერავი... შესწყდა გმირული ყიჟინა დიადი მებრძოლისა—ამ შემთხვევითი შვილის ჩვენი შავბნელი და ავადმყოფის საუკუნისა... მოყვარულმა შვილმა საყვარელ მშობელს ვერ აუწყა:

უკანასკნელი ალსარება სულისა იდუმალი ზრახვანი და წმიდა გრძნობანი...

ბედმა იგი ერის მომავლის თავგანწირულ გმირად წარმოშვა, წამების ჯვარი ატვირთა და ბოლოს გოლგოთით დააგვირგვინა მისი მოწამებრივი შარავანდედით მოსილი, მაგრამ უხნო, ხანმოკლე სიცოცხლე...

ერის ჯალათების პირუთვნელი მამხილებელი, ბორკილების საზარი ჟღარუნის გრძნეული მესაიდუმლე—დაეცა მძიმე ტვირთ ქვეშ განგმირული...

სისხლად დაცლილმა, წამებულმა ერმა, ერისავ სიონზე ველარ აინაზღაუროს ფასდაუდები დანაკარგი... ვაგლახ! დაჰკარგა წმიდა იერუსალიმისკენ მიმავალმა ნორჩმა თაობამ ბელადი!..

საგრძნობელი ჭრილობით დაეკოდათ გული ტვირთ-მძიმეთ და მაშვრალთაც... ჯვარცმული მგოსნის სიკვდილით მათ მოშორდათ დაუძინებელი ფხიზელი სინიდისის ხმა-სხივოსანი სიმბოლო კეთილშობილებისა...

ჟამთა სვლას მიეფარა თავგანწირულების მოციქული, მომავლის უტყუარი წარმშეუხრელი წინასწარმეტყველი...

მონობის შავმა ღამემ ფრთები შეარხია, ცის მოკამკამე კამარაზედ გამოაჩინა სხივოსანი ვარსკვლავი; მისი გრძნეული თილისმებით გვასწავლა გოლგოთის გაღმა გამავალი; წამიერად გაგვიშუქა უფსკრული ჩვენი შავი სიცოცხლისა და კვლავ დაუნდობლად სამუდამოდ დაგვილუპა, დაგვიჩრდილა...

ვაგლახ! ერის ყრმა მოზღვავებულს ძალას დაეკარგა სულით ძლიერი, მძლე მებაირაღტრე, მესვეური...

დარჩომილ ულირსთ დიდხანს მოუნდებათ ძიება ღირსეულის ჩვენს შავბნელ და სავალალო უკაცურობაში—იროდიონისთანა ყოვლად ღირსეულის მეგობარ—წინამძღოლისა... ვაგლახ!

წამს სასოწარკვეთილებისას, წამს გლოვისას და გოდებისას ოცნებით ვილოცებ შენ წმიდა სამარესთან, ნეტარხსენებულო იროდიონ, და გრძნეულება შენის დიადის სულისა, დავრდომილს, მოქანცულს, სულით კვლავ ამაღლებულს, გამამხნევებს, ფრთებს შემასხავს და გამიწვევს

„მედგრად წინ! წინ! მომავლისკენ,
არ შედრკება ჩემი გული..."

კიკნა-ფშაველა.

ახალი ამბავი

◆ სასახლეში. მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან სადარბაზოდ იყვნენ თბილისში ჩამოსულნი სახელმწიფო სათათბიროს წევრი მ. ა. პაპაჯანოვი, კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი გენ.-ლეიტ. დე-ვიტტი, გენ.-ლეიტ. გრომატინი და კამერ-იუნკერი თ-დი ბ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. უკანასკნელი სამი პირი მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

◆ აფხაზების დეპუტაცია მეფის ნაცვლის თანაშემწეს თავ. არლოვსაც წარუდგა და აფხაზეთის ჭირ-ვარამი შესჩივლა და დახმარება სთხოვა. თავ. არლოვმა დიდის პატივისცემით მიიღო დეპუტაცია და ყოველივე სათხოვარი თანაგრძნობით მოუსმინა. გზების შესახებ თავ. არლოვი შეჰპირდა დეპუტაციას, რომ ყველა საჭირო გზატკეცილის გაყვანას ამ მოკლე დროში შეუდგებითო. სკოლების შესახებ თავ. არლოვმა აღუთქვა, რომ სამინისტრო სკოლებს უთუოდ დავაარსებთ აგრონომიულ განყოფილებებითო. თანახმად თხოვნისა, თავ. არლოვმა აგრეთვე აღუთქვა დეპუტაციას, რომ სამურზაყანოს სკოლებში საგნების სწავლება ამ თავითვე ქართულ ენაზე იქნება, ხოლო აფხაზეთის დანარჩენ ადგილთა სკოლებში ქართული და აფხაზური ენის სწავლება სავალდებულო გახდება. თავ. არლომა ამასთანავე დაამშვიდა დეპუტაცია, რომ თქვენი კუთხის ყოველგვარ საჭიროებას მეტის ყურადღებით მოეპყრობა მთავრობაო.

◆ ქართულ პანთეონის სასარგებლოდ წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას დღემდე მიუღია შემოწირულება 355 მ. 78 კ.

◆ თბ. საგუბერნიო საგლეხო საკრებულომ თიანეთის მაზრა ახლად დაჰყო შემდეგ სამოსამართლო ნაწილებად: პირველ სამოსამართლო ნაწილში შევიდა სოფლის საზოგადოებანი: ფშავისა, ხევსურეთისა და ხევსურ-ქისტეთისა, მეორე სამოსამართლო ნაწილში თიანეთისა, საყდრიონისა და ერწოსი, ხოლო მესამეში—ახმეტისა, მატნის-მარალისისა, პანკისისა, წოვისა, ფარიქეთელისა, მომენრისა და ჩალმის სოფლის საზოგადოება.

◆ ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოების წლიურ კრებაზე, რომელიც მ. ო. გრუზენბერგის თავმჯდომარეობით შესდგა, მოსმენილ იქმნა წლიური ანგარიში. საზოგადოებას შეუძენია საკუთარი ბინა 50 ათას მანეთად ღირებული. დასასრულ მოხდა არჩევნები პრეზიდიუმისა. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ს. გ. პოლლაკი.

◆ სახალხო განათლების სამინისტროსაგან კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა მოწერილობა მიიღო, რომლის ძალით მასწავლებლებს ნება ეძლევათ სამსახურის დროს ატარონ ევროპიული ტანთსაცმელი ფორმის მაგიერ, საფორმო მასალის გაძვირების გამო.

◆ ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატების გამოფენა. ხუთშაბათს, 5 მაისს ი. მ. **ზდანევიჩის ატელიეში** მხოლოდ ერთი დღით გაიმართება გამოფენა სახალხო მხატვარის ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატების. (შეგროვილი ი. მ. ზდანევიჩის მიერ) გამოფენის დათვალიერება შეიძლება შუადღის 12 ს. 4 ს-დის. შესვლა უფასოა, სვიატოპოლკ-მისკის ქუჩა 6, გუნიბის ქუჩის კუთხე. სახლი კნეინა ანდრონიკაშვილისა, ეზოში მეოთხე სართული.

◆ სასწავლებლებში. ვაჟთა I გიმნაზიაში წელს 13 ქართველმა დაამთავრა: ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა, კ. მობეჯიშვილმა, კ. ფარესაშვილმა, კ. ჭავჭავაძემ, ნ. დვალიშვილმა, ვლ. დეკანოზიშვილმა, შ. ყავრიშვილმა, გ. კარბელაშვილმა, ე. კიკნაველაძემ, ვ. კიკნაძემ, რ. კორინთელმა. ო. ხევცურიანმა და გ. ჩაჩიაშვილმა-

— ვაჟთა მეორე გიმნაზიაში: ლეონიდ ალლაძე, პეტრე აღნიაშვილი, მიხაკო ბერიაშვილი, ერასტი ვაწაძე, დიმიტრი მჟავია, გიორგი მირიანაშვილი, ლადო ნახუცრიშვილი, გიორგი ფერაძე, ირაკლი ფერაძე, გიორგი ჩხიკვაძე, გიორგი ბუქურაული, ლოენ გაბუნია, გიორგი მამუკელაშვილი, მიხაკო რუსიშვილი, ირაკლი თოიძე და რომანოზ ჯავახიშვილი.

— რეალური სასწავლებელი დაამთავრა სამმა ქართველმა: გ. გორგაშვილმა, ა, მალაზიამ და დ. თოიძემ.

◆ მასწავლებელთა კავშირის ყრილობის გასამართავად ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასკოლო სექციის მიერ გადადებული 600 მანეთი გამგეობამ დაამტკიცა.

◆ საოლქო სასამართლოს სამოსამართლო სესია თელავს გაემგზავრა. სხდომები 8 მაისამდე გასტანს.

◆ მეხილეთა საზოგადოებაში. 3 მაისს შესდგა წლიური კრება კავკასიის საიმპერატორო მეხილეთა საზოგადოების განყოფილებისა მიწად მოქმედების რწმუნებულის ბინაზე. კრებამ მოისმინა 1615 წლის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება და შემდეგ სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები მოხდა.

◆ სასურსათო საქმე. ქალაქის სასურსათო კომისიას კრება ექნება ხვალ, 6 მაისს, დილის 11 საათზე. კრებამ უნდა აირჩიოს უბნების სასურსათო მზრუნველები და გამოარკვიოს ქალაქის დუქნების მოწესრიგების საქმე.

◆ შემოიტანეს თბილისში 3 მაისს: ფქვილი 33 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., კარტოფილი 3 ვაგ., ყველი 126 ფუთი, ხილი 146 ფუთი, კარაქი 10 ფუთი.

◆ დირექტორების ყრილობა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის ნ. ფ. რუდოლფის თავმჯდომარეობით დაიწყო ყრილობა ამიერ-კავკასიის, ჩრდილო-კავკასიის და სტავროპოლის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორთა ყრილობის მიზანია ბოსტნეულთა ნაწარმოების შეგროვება სამარ საჭიროებათათვის და აგრეთვე ზოგიერთა სამოსწავლო საკითხთა გამორკვევა. ყრილობა 7 მაისამდე გასტანს.

◆ რედაქციამ მიიღო შიო მღვიმელის ლექსთა კრებული (საიუბილეო გამოცემა) **„ჩემი ყვავილები"**. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 25 კაპ.

ქუთაისი.

„კვირას, 8-ს და ორშაბათს, 9 მაისს, ქართველ მომღერალ მგალობელთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს **ორ დიდ კონცერტს** სხვა და სხვა პროგრამით. გუნდი გამოწყობილია საკუთარ ქულაჯებში. თვითეული კონცერტი შესდგება ოთხ განყოფილებისაგან და გაიმართება ქალაქის თეატრში.

ქ. ზაქათალა.

პირველ მაისს ქ. ზაქათალაში დღისით საათის 3 საათზე და 7 წუთზედ ორჯერ საგრძნობელი მიწის ძვრა იყო.

ქიზიყი

— 2 აპრილს ს. ვაქირში ლ. მოსაშვილს 12 წლისას, უეცრივ თოფი გაუვარდა და მოკლა ბალნაშვილი 11 წლისა.

— 10 აპრილს ს. ჰოტორში ძელიცხოვლის ეკლესიის ეზოში ჩხუბის დროს ალექსი გოგინაშვილის გერმა 13 წლისამ, დანით მძიმედ დასჭრა ს. ნუკრიანის მცხოვრები ვ. ქუფარაშვილი 14 წლისა.

— 15 აპრილს სიღნაღს ესტუმრა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე—ბოდბის მონასტერში შეჩერდა და მერე ავტომობილით გურჯაანისკენ გაემგზავრა.

— 15 აპრილს სიღნაღში ადგილობრივმა [illegible] წარმოდგენა [illegible] ვალ. გუნიას ისტ. პიესა „და-ძმა". პიესამ კარგად ჩაიარა.

— 21 აპრილს ს. კელმეჩურზე ვ. კანდელაკიშვილს გაუტეხეს დუქანი. წაიღეს სხვა და სხვა საქონელი.

— 26 აპრილს სიღნაღის დრ. წრემ საერთო კრებაზე გადასწყვიტა მიიწვიოს რამდენიმე წარმოდგენისთვის მსახიობი ნიკო გვარაძე.

ოზურგეთი

20, 21 და 22 აპრილს აქ გაიმართა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან შემოწირულების შეკრება ყულაბებით, ჯარისკაცთა დასახმარებლად. სულ შემოვიდა 175 მან. 31 კაპ.

— ახლო მომავალში მოხდება სოფლის საზოგადოებათა მამასახლისების და სხვა თანამდებობის პირთა არჩევნები. თანახმად მეფის ნაცვლის ცირკულიარული განკარგულებისა 3 ივლისიდან 1915 წ.

კახეთის რკინის გზა

რკინის გზების სამართველომ კახეთის რკინის გზის გამგეობას ნება მისცა შემდეგ ახალ პლატფორმების გაკეთების: 1) ივრის ხიდთან 31 ვერ. გამოღმა; 2) 49 ვერ. ს. თოხლიაურთან: 3) 100 ვერ. ს. ჩალაუბანთან; 4) 105 ვერ. ს. ვეტინში; 5) 116 ვერ. ს. ახაშენთან და 6) სიღნაღის ტოტზე 16 ვერ. ს.ს. ანაგა-ვაქირის შუა. პლატფორმების გაკეთების თანხა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა შეაგროვონ და რაც შეიძლება მალე ჩააბარონ კახეთის რკინის გზის გამგეობას. პლათფორმების ხარჯთ აღრიცხვა შედგენილია და დაჯდება: 1) 2640 მ. 2) 3520 მ. 3) 1980 მან. 4) 3550 მ. 5) 2350 მ. და 6) 2930 მ.

—

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 1 მაისიდან შეცვლილია. აქამდის მატარებლები ერთმანეთს ხვდებოდნენ სად. ბადიაურში, ეხლა კი გურჯაანში. ვისაც კახეთის ნახვა სურს დღეს შეუძლიან დილით თბილისიდან გავიდეს, ჩალაუბნის უღელტეხილიდგან ნახოს ალაზნის ველი, მივიდეს სად. გურჯაანში და იმავე დღეს დაბრუნდეს თბილისში. გურჯაანში გაჩერდება 20 წუთს. ამას გარდა მგზავრთათვის ხელსაყრელად დაიარება საგანგებო საზაფხულო ღია ვაგონები.

—

აქამდის თელავიდან და წნორის წყლიდგან მატარებლები გამოდიოდნენ 9 საათ. დილით. ეხლა გამოდიან 1 საათს ნაშუადღევს. ასე რომ 50 ვერსზე მდებარე სოფლებიდგანაც კი შეიძლება ერთ დღეში თბილისში ჩამოსვლა, რაიც დღემდის ძლივს ორ დღეში ხერხდებოდა.

საერობო თათბირი

3 მაისი.

სამ მაისს საერობო თათბირის საერთო კრება გახსნა მეფის ნაცვლის თანაშემწის **თავ ვ. ნ. არლოვის** თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათზე. პირველ სექციის თავმჯდომარემ **თავ. კ. ნ. აფხაზმა** წაიკითხა სექციის ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს სექციის მუშაობას და მათ დადგენილების საერთო მიმოხილვას.

ჟურნალში მოყვანილია ყველა საკითხებზედ მოსაზრებანი და რეზოლიუციები როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობისა. **თავმჯდომარე** წინადადებას აძლევს კრებას გამოსთქვან მოსაზრებანი პირველ საკითხზე, საერობო ერთეულების ტიპის შესახებ. უმრავლესობის და უმცირესობის მხრით არავინ ეწერება.

ვ. ვართანიანცი იცავს თავის მოსაზრებას, რომ კავკასიაში უნდა იქმნეს შემოღებული საგუბერნიო და წვრილ საერობო ერთეული და ასაბუთებს ამას ჩვენი მხარის განსაკუთრებული პირობებით და უმთავრესად ლაპარაკობს საკრედიტო ამხანაგობის ზრდით დაღესტანში.

თავმჯდომარე კენჭს უყრის პირველ კითხვას, უმცირესობის აზრს, რომ ნაცვლად გუბერნიის და მაზრისა საერობო ერთეული აშენდეს აგრონომიულ და სხვა რაიონებზედ, ემხრობა მხოლოდ 21 კაცი.

მ. ი. ბერბეროვი უკმაყოფილებას აცხადებს, რომ უმცირესობის მოსაზრებები არ წაუკითხავს კრებას და ამის გამო კრებისთვის უცნობია.

თავმჯდომარე კენჭს უყრის ვინ არის მომხრე იმის, რომ კრებას მოხსენდეს უმცირესობის აზრი. (დგება 21 კაცი).

ლენნიაკი დ. ი. მესამე საფინასო სექციის თავმჯდომარე იძლევა ცნობებს თბილისის გუბერნიისა და მაზრების საერობო თანხის შესახებ. თიანეთის და დუშეთის მაზრას ექმნება მხოლოდ დეფიციტი. საერთოდ გუბერნიას ექმნება სრულიად საკმაო თანხა. კენჭს უყრიან—ვინ არის მომხრე, რომ თბილისის გუბერნიაში შემოღებულ იქმნეს საგუბერნიო და სამაზრო ერობები. ყველა ამის მომხრეა.

ტერ-მიკელიანცი აცხადებს—მე თავს ვიჭერო. კრება მსჯელობს **ზაქათალის ოლქის** შესახებ.

ტემირ-ხანი გამოსთქვამს აზრს, რომ ზაქათალის ოლქი ცალკე საგუბერნიო ერთეულად დარჩეს.

ლენნიაკი დ. ი. მოახსენებს კრებას საფინანსო სექციის აზრს—ზაქათალის ოლქს საკუთარი საგუბერნიო ერობისთვის საკმაო სახსარი აქვსო.

ვართანიანცი ვ. ამტკიცებს ზაქათალის მცხოვრებთ თბილისის გუბერნიის მცხოვრებლებთან არაფერი საერთო არ აქვთო და ამიტომ საჭიროა მისი გამოყოფაო.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ოლქს თბილისთან აერთებს მრავალი ცენტრალი დაწესებულებანი და ეკონომიურათ ხომ ეს ოლქი, განსაკუთრებით კახეთის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, თბილისის გუბერნიაზედ მჭიროდ არის დაკავშირებული.

გამხარაშვილი გ. ხ. ეხება ზაქათალის ოლქის უმთავრესად ეკონომიურ ვითარებას და ამტკიცებს, რომ ყველა ვინც ამ ოლქის გამოყოფაზე ლაპარაკობდა აქ და სექციაში ამ კუთხეს სრულებით არ იცნობენ. ეკონომიურად ეს ოლქი მუდამ თბილისზედ ყოფილა დაკავშირებული და ამ კუთხის თბილისთან შეერთებით ის მხოლოდ მოიგებს ყოველ მხრივ, ვინაიდან მას საერობო დეფიციტი აქვსო.

საკითხს კენჭს უყრიან და დიდი უმრავლესობით ღებულობენ ოლქის თბილისზედ შეერთების საერობო საქმეში.

(შემდეგი იქნება)

იწყება პროვინციული ჭორები!..

გოლოვინის პროსპექტზე ორი პატივცემული პირი გაცხარებული ლაპარაკობდა. ყური დავუგდე:

— ვერა, ჩემო ნიკოლოზ, ვერ დამიმტკიცებ მაგას, რომ ერობა თუ შემოიღეს უსათუოდ ბატონ-ყმობაც ჩამოვარდება.

— არა, ბატონო, ბაგრატ აქ ბატონყმობას სრულებით ადგილი არ ექნება, ეგ სრული სიცრუეა.

— რასა ბრძანებთ ბ-ნო, რუსეთის 90 წლიანი ერობის საფუძველი უნდა ჰქონდეს დადებული ჩვენ ერობას. იქ ერობაში ის პარაშებს და ის იქნება ბატონი ვისაც 25 დესეტინის ცენზი აქვს; აბა, ჩემო ნიკოლოზ ვისა აქვს 25 დესეტინა ჩვენ გლეხობაში რომ ერობაში ხმა ჰქონდეს. ისევ ძველებურად თავადიშვილები იქნებიან სათავეში და უწინდებულადვე ზედ შესხდებიან გლეხობას.

— ძლიერ გეცოდება, ჩემო ბაგრატ გლეხობა?

— რასა ბრძანებთ მაშა, კაცო?..

— თუ გლეხობა ძლიერ გეცოდება, რატომ არ გეცოდება ქალაქის მცხოვრებლები, როგორც მაგალითად შენ მე და სხვები, რომელთაც ცენზი არა გვაქვს და ქალაქის საქმის არჩევნებში ძაღლადაც არ გვაგდებენ.

— რა ვუყოთ ეს ქალაქია და სოფლის ხალხი კიდევ სხვაა უპასუხა თითქმის წამოწითლებულმა ბაგრატამ.

— არა სხვა არ არის, ამიტომ, რომ ზერბერიან, ხატისიან. გვეორქიანებს ხელს არ აძლევთ ასეთი ერობა. ცოტა იყოს, მეტადაც ეჩვენებათ. ამდენი ხანია გიცნობ და რატომ ერთხელ არ ამოიღე ხმა, ჩემო ბაგრატ, ქალაქის არჩევნების დროს ცენზის შესახებ? ეხლა ცოტა არ იყოს არც შენ გესიამოვნება ესეთი ერობა.

მაინც და მაინც ვერ დამარწმუნებთ, რომ ფეოდალებს ისევ და ისევ არ უნდოდეთ ბატონ-ყმობის განახლება. ჩვენ კი „დემოკრატიული" გვინდა!..

— მიკვირს და გამკვირვებია, რომ თქვენ ისევ გაჟღენთილი ნაციონალურ მისწრაფებით, ხან და ხან რათ გახდებით ხოლმე „დემოკრატები"?

— ეჰ, რა გელაპარაკო!..

სწრაფად მომშორდა ბაგრატი.

ივ. მჭ.

P. S. ამგვარი პროვოკაციული ჭორები, ჩვენში ფესვს გაიდგამს; საჭიროა ეხლავე პროპაგანდა სოფლებში და ჩაგონება მდაბიო ხალხის. ამასთანავე ურიგო არ იქნება, რომ პატარ-პატარა წიგნაკები დაიბეჭდოს და სოფლებში გავრცელდეს „ერობის მნიშვნელობაზედ".

ი. მ.

მოწოდება

საქართველოს მომხმარებელ საზოგადოებათა მიმართ.

მარტო კაცი ჭორის ჭამაშიაც ბრალიაო, ამბობს ქართული ანდაზა. ძალა რომ ერთობაშია, ერთმანეთის დახმარებით ადამიანებს რომ შეუძლიათ მთას ძირს აქცევინონ, ასეთ შეგნებას დიდი ხანია ჩვენს ერში ფეხი მოუკიდებია.

კოოპერატიული მოძრაობა, ევროპაში ყველასათვის საგრძნობ ძალას წარმოადგენს.

ომით გამოწვეულმა პირობებმა კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებას ჩვენშიაც შეუწყო ხელი. მუდამ დღე გვესმის სხვა და სხვა მხრიდგან ამა თუ იმ გვარ კოოპერატივების გახსნა-დაარსება. მაგრამ დაარსება არაა ისე ძნელი, როგორც დაარსებულის გაძღოლა, მისთვის სასიცოცხლო ძალის მიცემა. „ბევრი რამ უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი".

ვისაც გულწრფელად გვრწამს კოოპერატივების სარგებლიანობა, მოვალენი ვართ მთელი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ამ სასიცოცხლო ძალის შეძენას შევალიოთ. მკვიდრ ნიადაგზე ნაშენები, ძალებით და თანაგრძნობით ზურგ გამაგრებული კოოპერატივები დიდ საქმეს გააკეთებენ, თანდათან გაიზრდებიან და სანიმუშოდ გადაიქცევიან ყველა არსებულ და მომავალ კოოპერატივებისათვის.

ჩვენ არ გვინდება ახალი გზების ძებნა და ძნელში ხელების პოვნა, იმავე მესვეურმა ევროპამ აუარებელი ენერგია დახარჯა და თავისი მუშაობა ამ დარგში დააგვირგვინა კავშირების შექმნით.

მრავალის კოოპერატივის ინიციატივით დამტკიცდა ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის წესდება. ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან არსებული საკოოპერაციო სექცია გიწვევთ ამ წესდებას, გაითვალისწინეთ დღევანდელი ვითარება და გადასწყვიტეთ: ურჩიოს საქართველოს ყველა კუთხეში მომქმედ მომხმარებელ საზოგადოებათ ჩაეწერონ ზემოხსენებულ კავშირში. კავშირებით გზის გაკვლევა, მათ საშუალებით დღევანდელ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობასთან შებრძოლება გვრწამს, ჩვენს მიგვიყვანს ძმობრივ-თანაბრივ მდგომარეობამდის, რომელიც დასაწყისი იქნება მთელი ერის ყოველმხრივი აღორძინებისა. კოოპერატორებო, მაშ ხელი ხელს! მრავლად დავესწროთ 14—15 მაისს ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ კრებას. ფხიზლად ვიყვნეთ მომავალ საბჭოს არჩევის დროს, შევქმნათ ერთი ორგანო, რომელსაც დავავალებთ დიდ საქმეს და რომელიც იმედებს არ გაგვიცრუებს.

დაადგინეთ წევრთა საზოგადო კრებაზე, რომ ეწერებით ამიერ-კავკასიის კავშირში.

ამოირჩიეთ გამგეობის წევრთა შორის რწმუნებულები 14—15 მაისს დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლად.

გადადევით კავშირში პირველად შესატანი თანხა (წევრზე 25 მ.) და ახლავე გადმოგზავნეთ ის შემდეგ მისამართით: Тифлисъ, Волжско-Камскiй Коммерческiй банкъ. Для Закавказскаго Союза.

მიაწოდეთ კავშირს მომავალი კრებისათვის, ცნობები: ბალანსები ამ წლის 1 იანვრისათვის, მოხსენებები შენიშვნები და სხვა.

ქ. ს. სამ. საზ. საკოოპერაციო სექცია.

გ. პლეხანოვი დეპუტატ ნ. ჩხეიძის შესახებ

გაზეთ „პრიზივ"-ში გ. პლეხანოვი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ნ. ჩხეიძის სიტყვას, რომელიც მან სახელმწიფო სათათბიროში წარმოსთქვა და რომელშიაც ნ. ჩხეიძე ამტკიცებდა „საჭიროა ზავი, მხოლოდ უკონტრიბუციოთ და უანექსიოთ". გ. პლეხანოვის სიტყვით ჩხეიძემ ამ გვარ განცხადებით გვერდი აუხვია თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ცხოვრების სინამდვილესთან, რაც უნდა სოციალ-დემოკრატისათვის აუცილებლობას წარმოადგენდეს.

დეპუტატ ჩხეიძეს, პლეხანოვის სიტყვით, მეცნიერულ სოციალიზმის ანბანი დავიწყებია და მისი სიტყვა არამც თუ უტოპიურ სოციალიზმს წარმოადგენს, არამედ უბრალო პოლიტიკურ მკითხაობას.

მეცნიერულ სოციალიზმის მიმდევარმა, პლეხანოვის სიტყვით, თავისი აზრი უნდა შეუფარდოს რეალურ საზოგადოებრივ ძალებს, უკიდურეს შემთხვევაში მისი სიტყვა „უბრალო მეტყველობა" იქნება. ჩხეიძის აზრი ჯერ ერთი რომ განუხორციელებელია, მეორე „არ არის ლამაზი".

როგორ უნდა ჩამოვარდეს ზავი? ან ზეციდან ხომ არ ჩამოვარდება? ამაზე ჩხეიძემ უპასუხა, ამბობს პლეხანოვი, რომ „ჩვენ უნდა ჩავიგდოთ საქმე ხელში" და „გერმანელებთან მოლაპარაკებასაც გვპირდება".

„გმადლობთ შრომისათვის, რომელიც თქვენ თავთ იდევით,—ამბობს პლეხანოვი, მაგრამ როგორ დიდხანს გაგრძელდება მათთან მოლაპარაკება? მაშ ხელები უნდა დავუშვათ მაშინ, როდესაც მტერი გვცემს? თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გაბედულად გამოეცხადებინა ტრიბუნიდან. ან ვისთან აპირობს მოლაპარაკებას? გერმანელ მუშასთან? მაგრამ მუშა ხომ მუშისაგან განსხვავდება. ყველამ ვიცით, ჩხეიძეს გარდა, რომ გერმანელთა პროფესიონალური კავშირები ცხადლივ და ენერგიულად იცავენ იმპერიალიზმს. ჩხეიძეს იმედი აქვს მოელაპარაკოს გერმანელებს და ყველაფერი სასურველად დატრიალდება, მას სჯერა სასწაულებრივი ძალა და მხედველობაში. პოლიტიკური მკითხაობა დაუსახავს, რომელიც ჯადოსნების თვისებას წარმოადგენს, ისიც იმ ხალხთა შორის, რომელნიც კულტურის პირველ საფეხურზე დგანან.

აი საით წაიყვანა ჩხეიძე მისმა მკითხაობამ და სიტყვის სასწაულებრივ რწმენამ, მან [illegible] შესვლა მოინდომა, მაგრამ სხვაგან ამოჰყო თავი", დასძენს გ. პლეხანოვი.

დაბა-სოფლები

სოფელი ბაზალეთი. (დუშეთის მაზრა). სოფლები დაცალიერდა, ისპობა საუკეთესო ვაჟკაცები, სიცოცხლე, საღდაა მუშა ხელი, მარტოთ მარტო ბებრების და ბავშვების ანაბარაა ოჯახი, ამას ზედ დაერთო საქონლის ჭირი. ორი თვე მეტია რაც ნაწილი სამხედრო გზების ჩაკეტილია. კარგა ხანია არაგვის პირის გლეხი ვეღარ ხნავს. მრავალი ოჯახი დაზარალდა.

[illegible] გატყდა, ბევრის ხარ-კამეჩი [illegible], რადგან მომვლელი აღარ ჰყავს, ამ დროს [illegible] დაიძვრებიან სოფლად და ისედაც მტირალ ოჯახს [illegible] უშვრებიან. გლეხებმა ვერ შეიგნეს, რომ თავს მეზობლის დალუპვა, მისი [illegible] დალუპვა [illegible], რომ ერთმანეთს [illegible], ერთად გასწიონ ჭაპანი, [illegible] მეზობლის დაღუპვა.

ჩვენს სოფელში არის ორი-ოდე ოჯახი, რომლებსაც ცხვარი ჰყავთ, თითოეულს არა ნაკლებ 50 ცხვარი, სულ რომ შევაჯამოთ მთელი სოფლის ცხვარი იქნება 400—500. გაჭირვებაში არიან მეცხვარეები, ხან [illegible] მიაყენებენ ხან [illegible], და თუ ვინმემ სიმართლე სთქვა ვაი მათი ბრალი. [illegible] სამ ოჯახს [illegible] და სხვათ. სულ სამი [illegible] კოოპერატივებსაც მტრობენ, მაგრამ დღეს ხალხი იცნობს ამ ვაჟბატონებს.

ნუ თუ სულ ასეთი ბრმა და ბრიყვი ვიყვნეთ? მუდამ სხვა ტომის ხალხი ძიძგნის ჩვენს ქვეყანას, ჩვენ კი დაგვიხუჭია თვალი.

ბაზალეთელი გლეხი.

თეატრი და ხელოვნება

დღევანდელ ზოგად მდგომარეობას, სადაც უწყვეტ ჯარიხის ღრიანცელის მეტი არა გაისმის რა, ასეთი მძიმე, [illegible] შინაარსით ნაწერი თხზულება, როგორიც „ჰამლეტია", დროის შესაფერისად არ მიგვაჩნია. თუ მაინც და მაინც მის დადგმას აუცილებლად ვრაცხთ, მაშინ საგანგებო რამეს უნდა ვეხაზებოდეთ, ვთქვათ, ხელოვნების გვირგვინოსნობას. უეჭველია, ჩვენი საზოგადოება სწორედ ამას დაეხარბდა, რომ თეატრი გატენილი იყო. მართლაც, ამ დღეს ჩვენი ახალგაზდა მსახიობი ა. იმედაშვილი სცდიდა თავის არტისტიულ ნიჭს. ეს კი საყურადღებო რამ გახლავთ; რაც უნდა იყოს, ახალგაზდობაში პირველობის დაფნა მან იგდო ხელთა და, მაშასადამე, ასეთ ძლიერ და მშვენიერ შემოქმედების გენიოსურ ნაწარმოებში მისი გამოსვლა, საყურადღებო უნდა ყოფილიყო.

ჰამლეტი, როგორც ვიცით, უნაზესი და მასთან ერთად ფატალური ვნების, ფატალურ ტანჯვის და გრაციის ქსოვილით ნაქსოვი პიროვნებაა. მსახიობს თუ ჰსურს გამოჩენა, აიღოს ჰამლეტის როლი! მსახიობს თუ ჰსურს დამარცხება, ოდნავ შეჰშალოს ტონი ჰამლეტისა და მორჩომილია!

იმედაშვილის გამოცდამ, სამწუხაროდ, დიდის მარცხით ჩაიარა. მისი ჰამლეტი, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, გაოტელოებული ჰამლეტი იყო. უნდა გამოვტყდეთ, არა თუ დიდ სცენების დროს, სადაც მსოფლიო მსახიობთა გენიოსობის ფარშები იმსხვრევა, როგორც მაგალითად, „ყოფნა-არ ყოფნის" წარმოთქმისას, არამედ თვით ისეთს ადგილებში, სადაც სცენიური მხარე შექსპირის მეტად გაუქვავნიერებია, ე. ი. ჩვენთან დაუახლოვებია, და, მაშასადამე, მსახიობისთვის მეტი საბაბი მიუცია ვნებათა და გრძნობათა მოდულაციების სარეალიზოდ. ჰამლეტი იმედაშვილი უმწეო იყო, დიახაც, უმწეო იყო, ვინაიდან უმწეობის მეტი არა ეთქმის რა, ვთქვათ, თუნდაც ოფელიასთან სცენაში ასე ცივად და გახევებულად დადგომას, როგორც მან ჩაიდინა იმ დღეს. ტრაგიკულ მომგვრელი მდგომარეობა, მდგომარეობა, როდესაც ჰამლეტი თავის თავსაც [illegible], როდესაც ჰამლეტი [illegible] გულის ათასად გაყოფილია, როდესაც [illegible] მოუთმენლობა [illegible] მოჩვენებისაგან, [illegible] მის ყურთ, მის სულს, მის გონების მღელვარებისაგან, ამ საშინელს და [illegible] მომენტში, როდესაც შესაძლებელია ამ „მტრედის გულის" ქმნილებას [illegible] და დესცეს ძირსა, ჰამლეტი იმედაშვილი უგრძნობელი იყო, ფიქრობ მას გულში არა ხდებოდა რა. [illegible] ჰამლეტის [illegible] თამაში, მაგალითად, სცენა პირველი ფარდისა [illegible] და მწუხარებით დაზიდვა არაფრით არ განსხვავდებოდა მამის აჩრდილთან სცენისაგან. არავითარი კონტრასტი, არავითარი ცვალებადობა, თითქოს მოჩვენებასთან კი არა, ისევ გერტრუდა და კლავდიუს ელაპარაკება გულჩათხრობილი კილოთი.

საზოგადოდ მეტად მიმაჩნია ყოველი სცენის გაკრიტიკება, თუ სად როგორი იყო ჰამლეტი იმედაშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტი წილი სცენებისა მსახიობს ვერ იშოვნია, ან და სულ ყალბად გაუგია. მართალია, ალაგ ალაგ ორიგინალობდა, მაგრამ ასეთი „ორიგინალობა" საშუალო იყო, რომელსაც დიდებით არასა ჰმატებს მის ნიჭს. ჩვენის გულწრფელი რჩევით იმედაშვილმა სულაც რომ აიღოს ხელი სატრფო ნიჭის გაჰამლეტებაზე, უკეთესი იქნება. ცდა ბედის მონახევრეაო, უთქვამს მას, რახანაც ეს „ცდა" მარცხად დამთავრდა, ბედს შეურიგდეს და მის მიერ მოძღვნილი დაფნის ერთ იკმაროს. კეთილგონიერია მოთას სიტყვა: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს"...

სხვა მონაწილეთა თამაში არ იყო სახარბიელო, არ იყო იმიტომ, რომ ფოკუსი ჰამლეტის გამარჯვებისა თვითონ ჰამლეტზევეა დამოკიდებული. რა ტონსაც მისცემს იგი, ისეთივე იქნება შთაბეჭდილება პიესის მთლიანობის შესახებ. გაკვრით კი შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეთა შორის უკეთესი ისევ ქ-ნ ტასო აბაშიძის ოფელია იყო და გედევანოვის პოლონიუსი.

არა უშავდა რა ლაერტ—კორიშელს.

ბ-ნ კ. ანდრონიკაშვილს ჰორაციოს როლი რომ ესწავლა, ან ჰამლეტის თხოვნა შეესრულებინა და კლავდიუსისა და გერტრუდასთვის თვალი ედევნებინა სცენის სიღრმეში მსახიობთა წარმოდგენის დროს, უკეთესი და ბუნებრივი იქნებოდა, ვიდრე სცენაზე უდრო-უდროოდ რეჟისორობა და მსახიობისადმი აშკარა კარნახი, თუ ვინ როგორ მოქცეულიყო, ან თავი როგორ დაეჭირა.

დიოგენი.

წერილი რედ. მიმართ

პასუხი გაზ. „საქართველოს" შენიშვნის გამო.

გაზეთ „საქართველო"-ში (№ 90) დაბეჭდილია მკითხველის შენიშვნები თბილის. სასტატო ინსტიტუტში ათი სტიპენდიის დაკარგვის შესახებ, რომლებიც დაარსებული ყოფილან ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისათვის.

წერილის ავტორი, სხვათა შორის, ბრძანებს: „ამის შესახებ, ვგონებთ, საჭირო ცნობების მოწოდება შეუძლია ინსტიტუტის ყოფილ მასწავლებელს გ. როსელიანს".

ამ მოთხოვნის გამო ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მოვახსენო მკითხველ საზოგადოებას შემდეგი ცნობები.

მე ვმსახურებდი თბილ. სასტატო ინსტიტუტში დღიდგან მისი დაარსებისა 16 წ., როდესაც დირექტორად იმყოფებოდა განსვენებული ნ. ზახაროვი. ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის მომეტებული ნაწილი მოსწავლეთა ქართველები იყვნენ. რუსთა და სხვა ეროვნებათა რიცხვი 5—10 პროცენტს არ აღემატებოდა. სტიპენდიანტებთა შორისაც უმრავლესობა ქართველი მოწაფენი იყვნენ. ამას ისიც უნდა დაუსძინო, რომ ქართველი მოწაფენი ყოველთვის საუკეთესოდ სწავლობდნენ და თითქმის ყოველთვის კურსის დასრულების დროს პირველობა მათ ჰრჩებოდათ.

ასე იყო იმ დროს, როცა მე იქ ვიმყოფებოდი. ზახაროვის გარდაცვალების შემდეგ დირექტორად დანიშნეს ყოვლად უნიჭო პირი ვალდოვიჩი, მაგრამ იგიც მალე გადაიცვალა. მოულოდნელად იმ დროს მე იძულებულ ვიყავი თავი დამენებებინა სამსახურისთვის, ვინაიდან ცოტა ხნის დროს და ინსტიტუტში ახალი დირექტორების დროს, რაღაც მოსაზრებით, ახალი პოლიტიკა დამყარდა, რომელსაც ის სამწუხარო შედეგი მოჰყვა, რომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვმა თანდათან იკლო და დღეს, როგორც მოგეხსენებათ, მინიმუმამდის ჩამოვიდა. რაკი ქართველ მოწაფეებს აღარ იღებენ, ანუ ძლიერ იშვიათად იღებენ, იმათი ხვედრი სტიპენდიები სხვა ეროვნების მოწაფეებს მიაკუთვნეს, რადგანაც ამას არავინ ყურადღებას აღარ აქცევს.

გიორგი როსელიანი.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით ქართველ მწერლების აკაკის ფონდის გასაძლიერებლად ჯარში მყოფ ქართველთაგან შემოწირულს ფულს.

შემომწირველნი: **ს. ს. მესხიშვილი**—5 მ., **თამარ მესხიშვილი**—5 მ., **მ. ლ. ქორქაშვილი**—10 მ., **მღვდ. ლიაძე**—5 მ., **ივ. შერვაშიძე**—5 მ., **გ. ოქროპირიძე**—5 მ., **ილ. ყიფშიძე**—5 მ., **მიხ. იშხნელი**—5 მ., **კ. იშხნელი**—5 მ., და **ნ. კოზიაშვილი**—10 მ. **სულ 60 მანეთს.** გთხოვთ აღნიშნული ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

დიდის სიამოვნებით ვეგებებით ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებას. გისურვებთ მოღვაწე მამულიშვილებს შეერთებულის ძალით და გაათკეცებული ენერგიით წინსვლას დიდი ეროვნული მომავლის შემოქმედებისთვის. ვწუხვართ, რომ პირადი მონაწილენი ვერა ვართ თქვენთან შრომისა, მაგრამ სულით და გულით მუდამ ჩვენც თქვენთანა ვართ. ყოველივე თქვენს კეთილს საქმეს ნამიჯს გამამხნევებელი სიცოცხლის სხივი შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში და გულში იმედს გვაწერგავს [illegible] ჩვენს [illegible] **ნიკოლ კობიაშვილი** [illegible] „საქართველოს" [illegible] შემოწირულება 15 მანეთი და 25 კ. [illegible] 1 ქართველ [illegible] შემომწირველნი: [illegible] მანეთი გ. გეგეჭკორი, მ. [illegible], ვ. ლაზარაშვილი, [illegible] ცქიტიშვილი, ს. ჯაფარიძე, მ. ცხადაძე, [illegible] მ. მახარაძე, ვ. [illegible] შვილი, [illegible], ვ. ხოფერია, [illegible] თამბუკაშვილი 25 კ. სამსონ. გორგოძე 3 მ. [illegible] ამხანაგების [illegible] მონდომებით.

მიხ. ცხადაძე.

ხილის ფასები ადგილობრივ ბაზარზე

მიმდინარე მაისის 2-ში, „ამხანაგობა ქართლის"-ს ცნობით თბილისის ბაზარზე ხილის მაზანდა (ფასი) დაახლოვებით შემდეგი იყო:

2 მაისს [illegible] 1 ფუთი 12 მ. [illegible] 60 კ. [illegible] 12 [illegible] 4 [illegible]

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების
ცნობის მიმცემი ბიურო
(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь")
ი. დ. [illegible]
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქალაქოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთულ ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"

ქუთაისში
მ. ლაღიძე და ამხ.
1900
წყალი
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვიჩ-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე-მარილიანი, შავი „მაშინ" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, ფარგი და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 4.